სოკარ ჯორჯია პეტროლეუმი - ტექნიკური დავალება

შესასრულებელი სამუშაოს აღწერა:
საქართველოს მასშტაბით სოკარ ჯორჯია პეტროლეუმის ქსელში არსებული ობიექტების და სატრანსპორტო პარკის ენერგო აუდიტი.

მოთხოვნები შესასრულებელი სამუშაოს მიმართ:
ენერგო აუდიტი უნდა შესრულდეს ISO50002 და EN16247 სტანდარტებით და საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად, კერძოდ:

- საქართველოს კანონი ენერგოეფექტურობის შესახებ;
- საქართველოს კანონი შენობებში ენერგოეფექტურობის შესახებ;
- საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის ბრძანება #1-1/1743 სამშენებლო კლიმატოლოგიასთან დაკავშირებით;
- საქართველოს მთავრობის #354 დადგენილება შენობების მინიმალურ ენერგოეფექტურობის მოთხოვნებთან დაკავშრებით;
- საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის ბრძანება #1-1/168 ენერგო აუდიტის ჩატარების წესთან დაკავშირებით;

განსახორციელებელი აქტივობების აღწერა:

1. ობიექტებში ტექნიკური ვიზიტები;
2. ექსპლუატაციის პროცესის შესწავლა;
3. შენობა-ნაგებობების და საინჟინრო სისტემების შესწავლა;
4. დეტალური მონაცემების შეგროვება;
5. ენერგიის მოხმარების ოპტიმიზაციის მიზნით გაუმჯობესებების იდენტიფიცირება;
6. ენერგოეფექტური ღონისძიებების შემუშავება და განხორციელებისთვის საჭირო ინვესტიციის განსაზღვრა;
7. რეკომენდებული ღონისძიებებისგან მისაღები ფინანსური, ენერგეტიკული და ეკოლოგიური სარგებელის გაანგარიშება;
8. ენერგოეფექტური ღონისძიებების ხარჯ-სარგებლიანობის ანალიზი;
9. ბენჩმარკინგ ინდიკატორების შემუშავება ქსელში არსებული ობიექტების ენერგეტიკული მახასიათებლების ანალიტიკის მიზნით;
10. ენერგო აუდიტის ანგარიშის მომზადება ISO50002 და EN16247 სტანდარტების მიხედვით;
11. ენერგო აუდიტის ანგარიშის პრეზენტაცია და რეკომენდებული ღონისძიებების განხილვა;
12. ენერგო აუდიტის ანგარიშის 10 წლის ვადით შენახვა და საჭიროების შესაბამისად წარმოდგენა;
13. სოკარ ჯორჯია პეტროლეუმის ობიექტისთვის ენერგო აუდიტის სერთიფიკატის მომზადება.

შემსრულებლის კვალიფიკაცია:

- შემსრულებელი უნდა იყოს ენერგო აუდიტის განხორციელებაზე საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ ავტორიზებული/უფლებამოსილი პირი;
- შესრულებული უნდა ქონდეს განხორციელებული სამრეწველო და შენობების ენერგო აუდიტი;
- შემსრულებელს უნდა ქონდეს ენერგეტიკის სფეროში მუშაობის გამოცდილება არანაკლებ 5 წელი.